



ტესტი გეოგრაფიაში

2016 იანვარი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ბუკლეტი, პასუხების ფურცელი და რუკები.

ტესტი ამოწმებს პროფესიულ ცოდნას და სწავლების მეთოდიკას.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი. ყოველ შეკითხვას კონკრეტულად და ამომწურავად უპასუხეთ. გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

ტესტის ბუკლეტში არსებული ცარიელი ადგილები შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის!

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 70.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცლის სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.


1. რომელი მტკიცებულებაა მართებული?
 - ა. 22 დეკემბერს მზისკენ ჩრდილოეთი ნახევარსფეროა გადახრილი
 - ბ. 22 დეკემბერს მზისკენ არცერთი ნახევარსფერო არ არის გადახრილი
 - გ. 23 სექტემბერს მზისკენ სამხრეთი ნახევარსფეროა გადახრილი
 - დ. 23 სექტემბერს მზისკენ არცერთი ნახევარსფერო არ არის გადახრილი

2. დაახლოებით რა სიმაღლეზე ვრცელდება ტროპოსფერო ეკვატორის მიდამოებში?
 - ა. 8-10 კმ
 - ბ. 10-12 კმ
 - გ. 16-18 კმ
 - დ. 22-25 კმ

3. რომელი ტიპის დაცულ ტერიტორიაში მოქმედებს უფრო მკაცრი რეგულაციები?
 - ა. დაცულ ლანდშაფტში
 - ბ. ეროვნულ პარკში
 - გ. სახელმწიფო ნაკრძალში
 - დ. აღკვეთილში


4. რომელი რუკის საშუალებით შეიძლება ვიმსჯელოთ ლითოსფეროს ზედა ნაწილის ამგები ქანების გავრცელების, შემადგენლობისა და ასაკის შესახებ?
 - ა. ოროგრაფიული
 - ბ. ჰიდროლოგიური
 - გ. სეისმური
 - დ. გეოლოგიური

5. რომელი ბუნებრივი ზონის გავრცელების არეალია აღნიშნული რუკაზე?




- ა. მუსონური ტყეების
- ბ. სტეპებისა და ტყესტეპების
- გ. სავანებისა და მეჩხერი ტყეების
- დ. ხეშეშფოთლოვანი ტყეების

6. რომელ ილუსტრაციაზეა ნაჩვენები კრატერული წარმოშობის ტბა?




- ა. A
- ბ. B
- გ. C
- დ. D

7. რომელი ქალაქების კლიმატური მაჩვენებლებია ასახული გრაფიკზე?




- ა. A-პალერმო B-ველინგტონი
 ბ. A-პარიზი B-ბუენოს-აირესი
 გ. A-მონტევიდეო B-ლონდონი
 დ. A-სიდნეი B-რომი
8. რომელი ილუსტრაციის გამოყენებაა მიზანშეწონილი დედამიწაზე წყლის წრებრუნვის თემის განხილვისას?



- ა. A
 ბ. B
 გ. C
 დ. D

9. რომელი რელიგიის გავრცელებას ასახავს მოცემული რუკა?



- ა. ქრისტიანობის
- ბ. ბუდიზმის
- გ. ისლამის
- დ. იუდაიზმის

10. რომელია შიდა ჩამონადენის აუზის მდინარე?

- ა. ქვაბლიანი
- ბ. გუბაზეული
- გ. ნენსკრა
- დ. ძირულა

11. რომელ მდინარეს აქვს უფრო მაღალი ვარდნა?

- ა. არაგვს
- ბ. რიონს
- გ. ლიახვს
- დ. ნენსკრას

12. რომელი ტბა მდებარეობს ზღვის დონიდან უფრო მაღლა?

- ა. ფარავანი
- ბ. ჯანდარი
- გ. ყელი
- დ. კუმისი

13. რომელი ინფორმაციაა მართებული, როგორც აფხაზეთისთვის, ასევე აჭარისთვის?

- ა. მხოლოდ შავი ზღვის აუზის მდინარეები გაედინება
- ბ. ვრცელდება ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქი
- გ. მდებარეობს სამთო-სათხილამურო კურორტები
- დ. მდიდარია სათბობ-ენერგეტიკული რესურსების სამრეწველო მარაგით

14. მოსწავლეს კონტურულ რუკაზე უნდა დაეტანა საქართველოს ოთხი დაბა. ქვემოთ ჩამოთვლილი დასახლებული პუნქტებიდან რომელი შეარჩია მოსწავლემ შეცდომით?

- ა. ბაკურიანი
- ბ. მესტია
- გ. სტეფანწმინდა
- დ. წნორი

15. რომელ რეგიონში ხდება უფრო მეტი ელექტროენერჯის გამომუშავება?

- ა. იმერეთში
- ბ. შიდა ქართლში
- გ. მცხეთა მთიანეთში
- დ. სამეგრელო-ზემო სვანეთში

16. რომელ სახელმწიფოს შეესაბამება ცხრილში მოცემული მონაცემები (2014 წელი)?

მშპ ერთ სულ მოსახლეზე	12 900 \$ (აშშ დოლარი)
ჰუმანური განვითარების ინდექსი	0,65
მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე	142.49 კაცი/კმ ²
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა კაცი/ქალი	73/77
მიგრაციის სალდო (1000 კაცზე)	-0.44

- ა. კანადას
- ბ. რუსეთს
- გ. ჩინეთს
- დ. ინდოეთს

17. რომელ სახელმწიფოშია მიგრაციის სალდო დადებითი?

- ა. ავსტრალიაში
- ბ. ინდოეთში
- გ. ჩინეთში
- დ. სირიაში

18. რომელი სახელმწიფო არ შედიოდა ყოფილი იუგოსლავიის შემადგენლობაში?

- ა. სლოვენია
- ბ. ხორვატია
- გ. მონტენეგრო
- დ. სლოვაკეთი

19. რომელი ინფორმაციის ვიზუალიზაციისას არ არის მიზანშეწონილი წრეწიროვანი დიაგრამის გამოყენება?

- ა. იმპორტის სტრუქტურის
- ბ. რეგიონების მიხედვით ექსპორტის მოცულობის წილის განაწილების
- გ. ეკონომიკის დარგების მიხედვით იმპორტირებული პროდუქციის წილის განაწილების
- დ. იმპორტ-ექსპორტის ბალანსის დინამიკის

20. აშშ-ს რომელ შტატშია სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ერთ-ერთი დარგი მევენახეობა?




- ა. ალასკის
- ბ. ვაშინგტონის
- გ. კალიფორნიის
- დ. ჰავაის

ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში, თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.





21. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):



	სურათი		რეგიონი / სახელმწიფო
ა		1	სამხრეთი აზია (ინდოეთი)
ბ		2	სამხრეთი ევროპა (ესპანეთი)
გ		3	აღმოსავლეთი აზია (იაპონია)

<p>რ</p>		<p>4 ჩრდილოეთი ევროპა (შოტლანდია)</p>
<p>ე</p>		<p>5 დასავლეთი ევროპა (საფრანგეთი)</p>
<p>ზ</p>		<p>6 ავსტრალია და ოკეანეთი (ფიჯი)</p>
	<p>7 დასავლეთი ევროპა (გერმანია)</p>	

ა	ბ	გ	დ	ე	ვ

22. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოჩენა არ არის შესაძლებელი):

	ფოტო		სახელწოდება
ა		1	ნისლი
ბ		2	ნამი
გ		3	სეტყვა
დ		4	ცისარტყელა

ე		5	ლიპცინული
3		6	თრთვილი
		7	ტოროსი

ა	ბ	გ	დ	ე	ვ



23. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	ტბა		წარმოშობა
ა	რიწა	1	მყინვარული
ბ	ფარავანი	2	კლდეზვავური
გ	პალიასტომი	3	ვულკანური
დ	ამტყელი	4	ზღვიური (ლაგუნური)
ე	აბუდელაური		
ვ	ტაბაწყური		
ზ	ყელი		

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ

24. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოჩენა არ არის შესაძლებელი):

	მწვერვალის ფოტო		მწვერვალის სახელწოდება
ა	 <p>ჩ.გ. 35° 21' 29", ა.გ. 138° 43' 52"</p>	1	კოსტიუმუკო
ბ	 <p>ს.გ. 03° 04' 33", ა.გ. 37° 21' 12"</p>	2	იალბუზი
გ	 <p>ჩ.გ. 45° 58' 35", ა.გ. 07° 39' 30"</p>	3	უმბა
დ	 <p>ჩ.გ. 43° 21' 18", ა.გ. 42° 26' 21"</p>	4	მატერჰორნი

2	 <p data-bbox="188 450 472 472">ჩ.გ. 42° 41' 57", ა.გ. 44° 31' 06"</p>	5	კლიმანჯარო
3	 <p data-bbox="188 875 472 898">ჩ.გ. 43° 07' 35", ა.გ. 42° 39' 38"</p>	6	მცინვარწვერი
	7	ფუძიამა	

ა	ბ	გ	დ	ე	ვ

25. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	ცხოველი		გავრცელების არეალი
ა	ვეფხვი	1	მხოლოდ აფრიკა
ბ	მარტორქა	2	მხოლოდ აზია
გ	ჟირაფი	3	აფრიკა და აზია
დ	ჰიპოპოტამი	4	ავსტრალია
ე	იხვნისკარტა	5	ჩრდ. და სამხ. ამერიკა
ვ	პუმა		
ზ	დიდი პანდა		

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ

26. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	გეოგრაფიული ობიექტი		მოგზაური
ა	მდ. ზამბეზი	1	ვასკო და გამა
ბ	კეთილი იმედის კონცხი	2	მარკო პოლო
გ	ქ. ლიმა	3	ფრანსისკო პისარო
დ	პამირი	4	დევიდ ლივინგსტონი
ე	ჩანჩქერი ვიქტორია		
ვ	უდაბნო გობი		



ა	ბ	გ	დ	ე	ვ





27. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	ხეობა		მუნიციპალიტეტი
ა	დარიალის	1	გორის
ბ	თრუსოს	2	ყაზბეგის
გ	ატენის	3	დუშეთის
დ	ბორჯომის	4	ბორჯომის
ე	პანკისის	5	ახმეტის
ვ	გუდამაყრის		

ა	ბ	გ	დ	ე	ვ



28. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება *არ არის* შესაძლებელი):



	ფოტო		რელიეფის ფორმა
ა		1	მეანდრა
ბ		2	დოლინები (კარსტული ძაბრები)

ბ		3	დელტა
ღ		4	კარები
თ		5	ცირკი
ზ		6	ტროგი
		7	ესტუარი

ა	ბ	გ	დ	ე	ვ

29. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოვრება არ არის შესაძლებელი):

	ფოტო		ქალაქი
ა		1	პარიზი
ბ		2	ლონდონი
გ		3	მადრიდი

<p>რ</p>		<p>4 კოლნი</p>										
<p>ე</p>		<p>5 რომი</p>										
<table border="1" data-bbox="135 1366 450 1447"> <tr> <td>ა</td> <td>ბ</td> <td>გ</td> <td>დ</td> <td>ე</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </table>		ა	ბ	გ	დ	ე						<p>6 ბარსელონა</p> <p>7 რიო-დე-ჟანეირო</p>
ა	ბ	გ	დ	ე								

30. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

მოქმედი და ყოფილი ტერორისტული ორგანიზაციები		აღწერა	
ა	ირა (IRA)	1	XX ს-ში ესპანეთში აქტიურად მოქმედი ორგანიზაცია, რომლის მიზანია ესპანეთისა და საფრანგეთის ტერიტორიაზე მდებარე ბასკური რეგიონების დამოუკიდებლობა და ერთიანი ბასკეთის სახელმწიფოს შექმნა.
ბ	ეტა (ETA)	2	ნიგერიის რადიკალური ისლამური ორგანიზაცია, რომლის მიზანია მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე შარიათის კანონების ამოქმედება და „დასავლური ცხოვრების წესის“ ამოძირკვა.
გ	ალ-ქაიდა	3	XX ს-ში გაერთიანებულ სამეფოში აქტიურად მოქმედი ორგანიზაცია, რომლის მიზანია ერთიანი ირლანდიული სახელმწიფოს შექმნა.
დ	ისლამური სახელმწიფო	4	XX ს-ში იტალიაში აქტიურად მოქმედი იატაკქვეშა ულტრამემარცხენე ორგანიზაცია, რომლის იდეოლოგია ეფუძნებოდა მარქსიზმს.
ე	ბოკო ჰარამი	5	სუნიტური მიმართულების ისლამური ტერორისტული ორგანიზაცია სირიისა და ერაყის ტერიტორიებზე, რომლის მიზანია ერთიანი „ისლამური ხალიფატის“ შექმნა.
		6	ვაჭაბიტური მიმართულების ულტრარადიკალური ისლამური ორგანიზაცია, რომლის მიზანია ისლამურ სახელმწიფოებში ე.წ. „დასავლური“ ორიენტაციის მქონე მთავრობების დამხობა და „დიადი ისლამური ხალიფატის“ შექმნა.


ა	ბ	გ	დ	ე

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ინფორმაციას (სქემა, ფოტო და სხვ.) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ცხრილში. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

31. (2) ყურადღებით დააკვირდით ილუსტრაციას და უპასუხეთ კითხვებს:


- რომელი კონკრეტული საკითხის ახსნისას გამოიყენებთ მოცემულ ილუსტრაციას?
- რომელი გარსია ლათინური „A“ ასოთი აღნიშნული?



საკითხი
A

32. (3) ყურადღებით დააკვირდით ილუსტრაციას და უპასუხეთ კითხვებს:

- რომელ კონტინენტზე და განედებში მდებარეობს ილუსტრაციაზე აღწერილი ადგილი? პასუხი დაასაბუთეთ.
- რომელი კონკრეტული საკითხის ახსნისას გამოიყენებთ მოცემულ ილუსტრაციას?



განედი და კონტინენტი
დასაბუთება
საკითხი

33. (3) ყურადღებით დააკვირდით ილუსტრაციებს და უპასუხეთ კითხვებს:

- აზიის რომელ რეგიონშია გადაღებული ქვემოთ მოცემული ფოტოები?
- რომელ სეზონზე მოდის ატმოსფერული ნალექების პიკი ამ რეგიონში?
- რა არის ამის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორი?



რეგიონი
სეზონი
ფაქტორი

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ტოპოგრაფიულ რუკას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

34. (7) ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

34.1. დაახლოებით რამდენი მეტრია მ. კოპალას აბსოლუტური სიმაღლე?

- ა. 145,6 მ.
- ბ. 150,6 მ.
- გ. 155,6 მ.
- დ. 160,6 მ.

34.2. დაახლოებით რა აზიმუტით მდებარეობს მდ. თეთრას სათავიდან მდ. ცისფას შესართავი?


- ა. 108°
- ბ. 190°
- გ. 265°
- დ. 300°

34.3. დაახლოებით რამდენი მეტრია მდ. თეთრას სიგრძე?


- ა. 1000 მ.
- ბ. 4000 მ.
- გ. 6000 მ.
- დ. 10000მ.

34.4. (2) ტოპოგრაფიულ რუკაზე მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, დაასახელეთ და ახსენით მრეწველობის რომელი დარგია განვითარებული დასახლებულ პუნქტ გონაში?

34.5. (2) აუხსენით მოსწავლეს როგორ გამოითვალოს მდ. ცისფას ვარდნა ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით და განსაზღვრეთ რამდენი მეტრია ეს მაჩვენებელი?



რელიევი



ძირითადი პორიზონტალები გავლენებულია ყოველ 2.5 მეტრში
 ა) ძირითადი პორიზონტალები
 ბ) ძირითადი გამსხვილებული პორიზონტალები
 გ) დამატებითი პორიზონტალები (ნახევრადპორიზონტალები)
 დ) პორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
 ე) კალთის დახრის მანქანებლები (ბერგშტრისები)
 ა) ძირითადი სიმაღლის ნიშნულები ბ) სიმაღლის ნიშნულები




სიმაღლის ნიშნულები ორიენტრებოთ
 ფლატე (ბეჟი) (3-ხრამის სიღრმე მ-ში)
 ყორღანები (2-ყორღანის სიმაღლე მ-ში)
 ორმოები (3-ორმოს სიღრმე მ-ში)
 ხრამებისა და ღარტაფუბის სიგანე ა) 3-ზე ნაკლები;
 ბ) 3-დან 10 მ-მდე (3/2-ხრამის მახასიათებლები, 3-სიგანე ზედაპირთან, 2 სიღრმე მ-ში);
 გ) 10-ზე დიდი გამოისახება რუკის მასშტაბში (2 ხრამის სიღრმე)




მცენარეული საფარი და ბრუნტი
 მცენარეული საფარისა და გრუნტის საზღვრები და კონტურები
 წიწვოვანი ტყე
 ფართოფოთლოვანი ტყე
 შერეული ტყე




სემცენარეუბის მახასიათებლები მ-ში: 16-საშუალო სიმაღლე; 0.30 - მეტყინის საშუალო სისქე, 5-სეებს შორის საშუალო მანძილი
 ბუნქნარის ვიწრო ზოლები
 ცალკეული ფოთლოვანი კორომები
 ორიენტრის მნიშვნელობის მქონე ცალკე მდგომი ხეები: ა) წიწვოვანი ბ) ფოთლოვანი



ცალკე მდგომი ხეები, რომელთაც არ გააჩნიათ ორიენტრის მნიშვნელობა
 ახალგაზრდა წიწვოვანი (წვრილნაზარდი) ტყე
 ტყეში არსებული განეხილი გზების სიგანე (4-განეხილი გზის სიგანე მ-ში)




ბუნქნარი ა) ცალკე მდგომი ბუნქნები და ბუნქნების დაჯგუფებები; ბ) ხშირი ბუნქნარი (2-ბუნქნარის საშუალო სიმაღლე მ-ში)
 ა) მდელი 1-მეტრზე ნაკლები სიმაღლის ბალახის ტიპის მცენარეულობით; ბ) ხეხილის ბაღები
 ა) სახნავე მიწები
 ბ) ბოსტნები




ხის ღობეები, მესერი, ღობეწნულები


საბუნაო მხელი



ორლიანდაგანი რკინიგზა
 ვიწროლიანდაგანი რკინიგზა
 ჯიხურები, ყაზარმები, გზის ქვეშ არსებული მიწები
 ჩაღრმავებებში და მიწაყრილებზე გაყვანილი რკინიგზები (2-ჩაღრმავების სიგრძე მ-ში; 4-მიწაყრილის სიმაღლე მ-ში)
 გაუმჯობესებული გზატკეცილი (13-დაგებული საფარის სიგანე, 17-მთელი გზის სიგანე სანიაღვრეებს შორის მ-ში. ა-საფარის სახეობა). კილომეტრის ნიშნები. კილომეტრების წარწერები.




გზატკეცილი
 გაუმჯობესებული გრუნტის გზები (4-სავალი ნაწილის სიგანე მ-ში)
 გრუნტის გზები
 მინდვრისა და ტყის გზები
 გზების, მდინარეების, არხების გასწვრივ არსებული ნარგავები




ხიდების მახასიათებლები: 30-სიგრძე მ-ში, 5-სავალი ნაწილის სიგანე მ-ში, 5-ტვირთამწყოობა ტ-ში
 ხიდები, რომელთა სიგრძეა: 1) 3მ-ზე ნაკლები; 2) 3-დან 13 მ-მდე
 3 მ-მდე სიგანის მშრალი არხები
 დამბები, ხელოვნური მიწაყრილები (1 - სიმაღლე მ-ში)
 ჭები (169.1 - ჭის მიწისპირა ნიშნული, 3-5 - ჭის სიღრმე წყლის დონემდე და ფსკერამდე მ-ში)
 წყაროები

დასახლებული პუნქტები და მათი წარწერები




სასოფლო და სააგარაკო ტიპის დასახლების კვარტლები ცეცხლგამძლე და ცეცხლსაშიში ნაგებობებით
 კვარტლებს გარეთ საცხოვრებელი და სხვა ტიპის ნაგებობები ა) ცეცხლგამძლე ბ) ცეცხლსაშიში




სასოფლო და სააგარაკო ტიპის დასახლებებში სახლების რაოდენობა
 20-დან 100-მდე
 (45 - სახლების რაოდენობა)
 20-ზე ნაკლები

ცალკეული ავტოლოპრივი ნაგებობები




მსუბუქი კონსტრუქციის ანძები ქარის წისკვილი
 ეკლესიები
 ბოძებზე დამაგრებული გადახურვები
 ქარხნები საკვაშური მილით
 ღია ტიპის კარიერები: თიხ- მოპოვებული მასალა, 10 - კარიერის სიღრმე მ-ში
 კავშირგაბმულობის საკაერო ხაზები (სატელეფონო, სატელეგრაფო, რადიო და სხვ.)
 ხშირი მცენარეულობით დაფარული სასაფლაოები



სახელმწიფო გეოდეზიური ქსელის პუნქტები (პრიცხველი პუნქტის ცენტრალური ნიშნული. მნიშვნელი ნაკვეთის ნიშნული)

ჰიდროგრაფია



შრობადი ნაკლები
 სანაოსნო მდინარეები
 ა) ტბორი ბ) 100 მ-ზე ნაკლები სიგრძის კაშხალი, ავტოტრანსპორტისთვის გაუვალი
 მდინარეები და ნაკლებები: 1) 3 მ-მდე, 2) 5 მ-მდე, 3) 5 მ და მეტი სიგანის გამოისახება რუკის მასშტაბში
 წყლის კედის ნიშნულები
 ისრები უჩვენებენ მდინარის დინების მიმართულებას (0.4-დინების სიჩქარე მ/წმ)
 მდინარეების მახასიათებლები: 10-სიგანე; 1.2 - სიღრმე მ-ში; ქ - გრუნტის ტიპი
 ფონები და მათი მახასიათებლები: 0.5 - სიღრმე მ-ში, 10 - ფონის სიგრძე, 0.4 - დინების სიჩქარე მ/წმ
 ხიდები ლითონის ერთოდიანი
 ხიდები ხის ერთოდიანი

ტოპოგრაფიულ რუკებზე მიღებული შემოკლებები

ა	ასფალტი	აგ.	აგურის
ჯ	ჯიხური	ქ	ქვიშის
რქ.	რეისის ქვა	ტბრ	ტბორი
არყ.	არყის ხე	პრ.	პროექტორის ანძა
ფიჭ.	ფიჭვის ხე	წ	წყარო
ნად.	ნაძვის ხე	სს	სოფლის საკრებულო
წსწ.	წყალსაქანი	მე	მყარი
თიხ	თიხა	კრამ.	კრამიტის ქარხანა
სჭ	საორიენტაციო ჭა	სკ.	სკოლა
ყაზ.	ყაზარმა	ქვ.	ქვიშის კარიერი
ღ.	ღამი		

ინსტრუქცია

მოცემულია მასწავლებლის მიერ შედგენილი გაკვეთილის გეგმა. ყურადღებით გაეცანით მას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

35. (8) გაეცანით გაკვეთილის გეგმას და უპასუხეთ კითხვებს:

საგანი	გეოგრაფია
კლასი	VII
გაკვეთილის თემა	მსოფლიო ოკეანე
მიმართულება ესგ ¹ საგნობრივი სტანდარტიდან	გარემო და ეკონომიკა
მისაღწევი შედეგი ესგ საგნობრივი სტანდარტიდან	გეო.VII.8. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა ჰიდროსფეროს შესახებ.
მისაღწევი შედეგის ინდიკატორი ესგ საგნობრივი სტანდარტის მიხედვით	<ol style="list-style-type: none"> 1. მსჯელობს ოკეანის წყლის თვისებებსა (<i>მარილიანობა, ტემპერატურა</i>) და ოკეანურ დინებებზე; 2. აღწერს წყლის მცირე და დიდ წრებრუნვას. ადარებს მათ ერთმანეთს და ქმნის შესაბამის სქემატურ ნახატს; 3. კონტურულ რუკაზე დააქვს ოკეანეები და მისი ნაწილები.
სასწავლო მიზანი	<ul style="list-style-type: none"> • კონტურულ რუკაზე მუშაობის უნარის გამომუშავება.
სასწავლო რესურსი	<ul style="list-style-type: none"> • სასკოლო სახელმძღვანელო, სასწავლო ატლასი, დაფა, ცარცი და სხვა აუცილებელი საკანცელარიო ნივთები.
აქტივობა	<ol style="list-style-type: none"> 1. გონებრივი იერიში: რა არის ჰიდროსფერო და რა ნაწილებს მოიცავს იგი. 2. ახალი მასალის ახსნა: რა არის მსოფლიო ოკეანე და მისი ნაწილები; წყლის მარილიანობა და ტემპერატურა. 3. საკლასო სამუშაო: <ol style="list-style-type: none"> ა) მოსწავლეების მიერ ინდივიდუალურად შესასრულებელი დავალება: <ul style="list-style-type: none"> • აღნიშნეთ კონტურულ რუკაზე ოკეანეები, მათი უდიდესი ზღვები და ყურეები. ბ) მოსწავლეების მიერ წყვილებში შესასრულებელი დავალება: <ul style="list-style-type: none"> • სასწავლო ატლასისა და სასკოლო სახელმძღვანელოს დახმარებით მოიძიეთ ზოგადი ინფორმაცია მსოფლიო ოკეანის ცალკეულ ნაწილებში წყლის ტემპერატურისა და მარილიანობის შესახებ. 4. გაკვეთილის შეჯამება: <ul style="list-style-type: none"> • კლასში მსჯელობენ რატომ განსხვავდება მსოფლიო ოკეანის ცალკეულ ნაწილებში წყლის მარილიანობა და ტემპერატურა. 5. საშინაო დავალება: <ul style="list-style-type: none"> • ...

35.1. (1) რომელი სასწავლო რესურსის დამატება იქნება აუცილებელი გაკვეთილზე მე-3 აქტივობის შესასრულებლად?

¹ ესგ - ეროვნული სასწავლო გეგმა

35.2. (2) განსაზღვრეთ კიდეც ერთი სასწავლო მიზანი და ერთი უნარი, რომლის მიღწევაც შესაძლებელი იქნება მოცემული გაკვეთილის გეგმის მიხედვით.

35.3. (1) ესგ საგნობრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგის ინდიკატორებიდან რომლის მიღწევა იქნება შეუძლებელი მოცემული გაკვეთილის გეგმის მიხედვით (მიუთითეთ ინდიკატორის ნომერი)?

35.4. (2) მოცემული გაკვეთილისთვის ახსენით, რომელ აქტივობას დაუთმობდით ყველაზე მეტ და ყველაზე ნაკლებ დროს?

35.5. (2) მოცემული გაკვეთილის გეგმიდან გამომდინარე შეადგინეთ ერთი საშინაო დავალება, რომლის მიზანიც იქნება მოსწავლეებს დაანახვოს როგორც მსოფლიო ოკეანის მთლიანობა, ასევე განუვითაროს რუკის კითხვის უნარი.

ინსტრუქცია

მოცემულია მასწავლებლის მიერ შედგენილი დავალება და მოსწავლის პასუხი. თქვენი მიზანია შეაფასოთ მოსწავლის ნამუშევარი. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

36. (7) მოსწავლემ შეასრულა მასწავლებლის მიერ შედგენილი დავალება. გაეცანით მას და უპასუხეთ კითხვებს:

მასწავლებლის მიერ შედგენილი დავალება:

ტექსტი

გასული საუკუნის კლიმატურ დაკვირვებებზე დაყრდნობით, საქართველოში გვალვების ალბათობა და ძლიერი ქარების განმეორებადობა ყველაზე მაღალია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში.

ამ მუნიციპალიტეტში ყველაზე დაბალი ადგილი ზ.დ. 90 მ-ზე მდებარეობს; ამ ადგილსა და მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალ წერტილს შორის (მ. ნიკორასციხე) შეფარდებითი სიმაღლე 911 მ-ია. შედარებით ერთგვაროვანი რელიეფის მიუხედავად აქ რვა ტიპის ლანდშაფტი გამოიყოფა, რომელშიც სჭარბობს სტეპები და ნახევრადუდაბნოები. მუნიციპალიტეტის ფართობი დაახლოებით 2 500 კვ.კმ-ია, რომლის 12% დაცულ ტერიტორიებს უკავია.

ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა. სხვა დარგები სუსტადაა განვითარებული. აქ ფუნქციონირებს 3 ჭაბურღილი, საიდანაც მცირე რაოდენობის ნავთობსა და ბუნებრივ აირს მოიპოვებენ.

ზედაპირული წყლის რესურსის ძირითადი ნაწილი ორ მდინარეზე - ალაზანსა და იორზე მოდის. გარდა ამისა, არის 3 პატარა ტბა და პერიოდულად შრობადი რამდენიმე მდინარე. მუნიციპალიტეტი ღარიბია მიწისქვეშა წყლებით. სარწყავი წყლით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მხოლოდ 2%-ია უზრუნველყოფილი.

2002 წელს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დაახლოებით 29 ათას კაცს შეადგენდა. პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, 1989-2002 წწ., მუნიციპალიტეტი დატოვა დაახლოებით 6 800 კაცმა.

კითხვები, რომელზეც უნდა უპასუხოთ მოსწავლემ:

- I. (2 ქულა) რომელი ლანდშაფტები ჭარბობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში?
- II. (1 ქულა) კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, რომელი ეკოლოგიური პრობლემის წინაშე დგას მუნიციპალიტეტი?
- III. (3 ქულა) ტექსტიდან გამომდინარე, ეკონომიკის რომელი სამი დარგია განვითარებული მუნიციპალიტეტში?
- IV. (1 ქულა) ზდ.დ. რამდენი მეტრია მთა ნიკორასციხის სიმაღლე?
- V. (1 ქულა) 2002 წლის მონაცემებით, დაახლოებით რას უტოლდებოდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე?
- VI. (2 ქულა) რომელი ეროვნული პარკი ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და რა არის მისი დაცვის მთავარი ობიექტი?
- VII. (3 ქულა) ნავთობის რომელი 3 საზადო მდებარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში?

მოსწავლის პასუხი:

- I. დედოფლისწყაროში ჭარბობს სტეპები და ნახევრადუდაბნოები.
- II. მუნიციპალიტეტი განიცდის სარწყავი არხების დეფიციტს.
- III. განვითარებულია მოპოვებითი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა (მარცვლეული კულტურების მოყვანა).
- IV. მ. ნიკორასციხის შეფარდებით სიმალლეს უნდა გამოვაკლოთ მუნიციპალიტეტის ყველაზე დაბალი ადგილის აბსოლუტური სიმალლე და მივიღებთ ამ მთის სიმალლეს ზღვის დონიდან. იგი უტოლდება 911-90=821 მ.
- V. 29 000/2 500=11.6; მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 2002 წელს იყო დაახლოებით 1 კვ.კმ-ზე 12 კაცი.
- VI. აქ ფუნქციონირებს შირაქისა და ელდარის ეროვნული პარკი, რომლის დაცვის მთავარი ობიექტია ზამთრის საძოვრები.
- VII. დედოფლისწყაროში მდებარეობს სამგორის, პატარძელისა და მირზაანის ნავთობის საბადოები.

თქვენი დავალების კითხვები:

36.1. (5) მასწავლებლის მიერ შედგენილი დავალების თითოეულ კითხვას ფრჩხილებში მითითებული აქვს მაქსიმალური ქულა.

- ცხრილში X-ით მონიშნეთ ის კითხვები, რომელსაც მოსწავლემ არასრულად ან შეცდომით უპასუხა;
- გაუსწორეთ მოსწავლეს შეცდომები და დაწერეთ სრული პასუხები.

კითხვის №	მონიშნეთ მხოლოდ ის კითხვები, რომლის პასუხებიც მცდარია ან არასრული	პასუხი, რომელშიც დაწერდით მაქსიმალურ ქულას
I.		
II.		
III.		
IV.		

V.		
VI.		
VII.		

36.2. (2) დავალებაში ფრჩხილებში მითითებული ქულების მიხედვით, შეაფასეთ მოსწავლის პასუხი შესაბამისი ქულით და მის მიერ მიღებული ქულა შეუსაბამეთ აკადემიურ ნიშანს, რომელიც უნდა დაუწეროთ მას სასკოლო ჟურნალში (აუცილებლად ახსენით ნიშნის გამოთვლის პროცესი).
